# შპს ნერგებ-ის
# რემედიაციის წესი

მუხლი 1. რემედიაციის არსი

1. რემედიაციის პროცესი გულისხმობს დამატებით მხარდაჭერას მოსწავლეებისათვის, რომლებმაც სტანდარტული საკლასო რეჟიმით მუშაობისას ვერ შეისწავლეს ძირითადი საგნობრივი ცნებები და ვერ განივითარეს სათანადო უნარ-ჩვევები დამაკმაყოფილებელ დონეზე.

2. რემედიაცია მოიაზრებს სწავლა-სწავლების პროცესში ხარვეზების აღმოფხვრაზე ორიენტირებულ მიდგომას. აღნიშნული მიდგომა სჭირდება ბავშვებს, რომლებიც სწავლის პროცესში აწყდებიან სხვადასხვა ტიპის სირთულეებს. სარემედიაციო დახმარება მაშინ ხდება საჭირო, როცა დიფერენცირებული მიდგომებითაც ვერ ხერხდება კონკრეტულ მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური უნარების განვითარება.

3. რემედიაციის საჭიროება შეიძლება ნებისმიერ მოსწავლეს შეექნას, მიუხედავად მისი აკადემიური მოსწრებისა, კრიტიკული აზროვნების დონისა თუ მასალის ათვისების უნარისა. სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩამორჩენის მიზეზი მრავალგვარი შეიძლება იყოს: ავადმყოფობა, ხანგრძლივი პერიოდით (ან ხშირად) სკოლის გაცდენა, არახელსაყრელი ოჯახური პირობები, კონკრეტული მოსწავლისთვის შეუფერებელი ფსიქოსოციალური გარემო და სხვ.

მუხლი 2. რემედიაციული პროცესების განხორციელების ეტაპები

1. რემედიაციული პროცესის განხორციელების ძირითადი საფეხურებია:

ა) რემედიაციის პროცესში ჩასართავ მოსწავლეთა იდენტიფიცირება;

ბ) სამუშაო ფორმატის შემუშავება (დამატებითი მეცადინეობის სახით);

გ) სასწავლო რესურსებისა და აქტივობების მომზადება;

დ) მეცადინეობების ჩატარება, აქტივობების განხორციელება;

ე) განმავითარებელი შეფასების ანალიზი, პროგრესის მონიტორინგი;

ვ) პროცესთან დაკავშირებულ მხარეებთან (სკოლის ადმინისტრაცია, ოჯახი, სხვა მასწავლებლები) კომუნიკაცია და თანამშრომლობა.

მუხლი 3. ჩართული მხარეები

1. რემედიაციულ პროცესში ჩართული მხარეები არიან:

ბ) რემედიატორი მასწავლებელი;

გ) კლასის დამრიგებელი;

დ) სკოლის ადმინისტრაცია;

ე) მოსწავლის მშობელი.

მუხლი 4. რემედიაციული პროცესების განხორციელება

1. მოსწავლეთა იდენტიფიცირების შემდეგ რემედიატორი მასწავლებელი ადგენს სამუშაო ფორმატს, დამატებითი მეცადინეობების გრაფიკს, შეიმუშავებს რემედიაციულ სასწავლო მასალას, განსაზღვრავს რესურსებს, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ აქტივობებს.

2. უშუალოდ დამატებითი მეცადინეობების ჩატარების აღრიცხვა ხორციელდება ბლანკზე , რომელსაც აწარმოებს რემედიატორი მასწავლებელი.

მუხლი 5. რემედიაციული პროცესების მონიტორინგი

1. მონიტორინგის განხორციელება და მიღებული შედეგის გაზომვა, პროგრესის შეფასება რემედიაციული პროცესების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, რომელშიც ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია, თავად რემედიატორი მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი.

2. სკოლის დირექცია აკონტროლებს დამატებითი მეცადინეობების პრაქტიკულად ჩატარების საკითხს. კერძოდ, დირექტორის მოადგილეები, იმ კლასის დამრიგებლებთან ერთად რომელ კლასშიც ირიცხება მოსწავლე, მონიტორინგს უწევს დამატებითი მეცადინეობების ჩატარებას.

3. რემედიაციული პროცესების პროგრესის გაზომვას ახდენს რემედიატორი მასწავლებელი მიმდინარე საკლასო და საშინაო დავალებების შეფასებების ანალიზის გზით.

4. მონიტორინგის ერთ-ერთი მექანიზმია სკოლის მიერ ჩატარებული შიდა სასკოლო წერების შედეგების ანალიზი.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებული და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით.

2. დოკუმენტში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.